რეპრესირებული ხელოვანი ქალები ქართულ თეატრში

გუბაზ მეგრელიძე

გასული საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიების კაცთმოძულე პერიოდმა ხელოვნების მრავალი უდანაშაულო მუშაკი შეიწირა. მათ შორის გამოირჩევა ე.წ. „სანდრო ახმეტელის საქმე“, რომელშიც გაერთიანდა რუსთაველის თეატრის მსახიობთა ჯგუფისა და სხვა ხელოვანთა რეპრესირების საქმეებიც. მათი დევნა დაიწყო საქართველოს სახკომსაბჭოსა და საქ. კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 13 სექტემბრის დადგენილების „რუსთაველის სახელობის თეატრის შესახებ“ გამოქვეყნების შემდეგ. რუსთაველის თეატრის ახალდანიშნულმა დირექტორმა ერ. გორდელაძემ მიიღო შემდეგი ბრძანებები: „ვინაიდან დამსახურებული მსახიობი თამარ წულუკიძე არ ცხადდება რეპეტიციებზე და თავის მოქმედებით დეზორგანიზაცია შეაქვს თეატრის კოლექტივში, ეთხოვოს განსახკომს დაგვიდასტუროს მისი თეატრიდან მოხსნა“ (ბრძანება #70. 1935 წ. 20. 09), „თანახმად განსახკომის განკარგულებისა, განთავისუფლებულ იქნას დამსახურებული მსახიობი თამარ წულუკიძე თეატრში მუშაობიდან“ (ბრძანება #76. 1935 წ. 2. 10), „თანახმად სახკომსაბჭოს და საქ. კ.პ. (ბ) დადგენილებისა, მსახიობი შავიშვილი ბუჟუჟა მოხსნილ იქნას თეატრიდან 21 ოქტომბრიდან“ (ბრძანება #88. 1935 წ. 27. 10), „თეატრის მუშაობაში დეზორგანიზაციის შეტანისთვის და დაჯგუფებათა ცდებისთვის, რაც მიმართულია თეატრის შემოქმედებითი და ორგანიზაციული საქმიანობის ჩაშლისაკენ, მოიხსნას თეატრიდან 1-ლი დეკემბრიდან სალიტერატურო ნაწილის გამგე ია ქანთარია, მსახიობები: ვლადიმერ ადამიძე, თინა ღვინიაშვილი, ვლადიმერ ღვინიაშვილი, ალექ. აზაიშვილი და მოკარნახე ნინო ღვინიაშვილი“. დირექტორი ერ. გორდელაძე ყველას კატეგორიულად და საბოლოოდ აფრთხილებდა: „ვაფრთხილებ ყველას, რომ მუშაობაში მცირეოდენი დეზორგანიზაციის შეტანისათვის, დისციპლინის და შიდა თეატრალური რეჟიმის დარღვევისთვის მოეთხოვებათ სასტიკი პასუხი, სამსახურიდან მოხსნითაც კი“ (ბრძანება #99. 1935 წ. 26. 11).

მსახიობთა რეპრესირების საკითხი გადაწყდა პოლიტსამმართველოს 1936 წლის 20 სექტემბრის ანგარიშის შედეგების შემდეგ. მასში აღნიშნულია, რომ ს. ახმეტელი მის განთავისუფლებას საბოლოოდ არ მიიჩნევს და აპირებს მოსკოვში ჩივილს; იგი მიიღებს ყველა ზომას სტალინისთვის წერილის გადასაცემად, რაც არის ბერიას წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი. როგორც ამბობენ, ს. ახმეტელს მოსკოვში მომუშავე ზოგიერთი ქართველი ბოლშევიკის (ს. ორჯონიკიძე, ა. ენუქიძე - გ.მ.) იმედიც აქვს, რომლებიც ბერიასადმი მტრულად განწყობილნი არიან და რომლებიც პარტაქტივის კრებაზე ბერიამ თავის მოხსენებაში გააკრიტიკა. შესაძლოა, რომელიმე შეეცდებოდა კიდეც ბელადთან სიტყვის შეწევნას „დაზარალებულის“ სასარგებლოდ. ამას გარდა, პოლიტსამმართველოსთვის ცნობილი გახდა, რომ მსახიობთა ჯგუფმა მოსკოვში საჩივარი გაგზავნა ბერიას საწინააღმდეგოდ და ახმეტელის დასაცავად. ამ ფაქტს ადასტურებს რეჟისორი შ. აღსაბაძე. მისთვის 1955 წლის დაკითხვაზე მსახიობ სარჩიმელიძეს უთქვამს, რომ 1936 წლის ახალი წლის აღსანიშნავ საღამოზე, პ. კორიშელის ბინაში, შემდგომში დაპატიმრებულმა პირებმა ხელი მოაწერეს სტალინისთვის გასაგზავნ წერილს, რომ ბერია ებრძვის ახმეტელს და იგი დაუმსახურებლად განდევნეს თეატრიდან. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მოყვანილი ფაქტები გახდა ახმეტელის მომხრე მსახიობთა დაპატიმრების მიზეზი, ვინაიდან რეპრესირებულნი მხოლოდ წერილზე ხელმომწერნი აღმოჩნდნენ.

1936 წლის შემოდგომიდან დაიწყო ს. ახმეტელის თანამოაზრეთა დაპატიმრება. 21 ნოემბერს - მსახიობი ბ. შავიშვილი, სუფლიორი ნ. ღვინიაშვილი, 1937 წ. 28 იანვარს ს. ახმეტელის მეუღლე თ. წულუკიძე დაიპატიმრეს.

მათი „დანაშაული“ იმაში მდგომარეობდა, რომ ს. ახმეტელს თეატრიდან განთავისუფლებამდე მედგრად იცავდნენ და მისი მოსკოვში წასვლის შემდეგაც

მიმოწერას აგრძელებდნენ მასთან. ამიტომაც წარედგინათ ბრალად, რომ იყვნენ კონტრ-რევოლუციური ჯგუფის წევრები და დეზორგანიზაციის შეტანით თეატრში შემოქმედებითი მუშაობის ჩაშლას ცდილობდნენ. აგრეთვე, არ ეთანხმებოდნენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს რუსთაველის თეატრის შესახებ, რასაც დაკავებული თანამდებობებიდან ს. ახმეტელის განთავისუფლება მოჰყვა.

1955 წლის სარეაბილიტაციო დასკვნაში აღნიშნულია, რომ „ახმეტელის საქმე“ ფალსიფიცირებული იყო ხალხის მტრის - ბერიას დავალებით და გამომძიებლები დაკითხვებზე ფიზიკური ზემოქმედების უკანონო მეთოდებს იყენებდნენ. თითქოს ისინი 1935 წლიდან ს. ახმეტელმა ტროცკისტულ-ზინოვიევისტურ კონტრრევოლუციურ ტერორისტულ ჯგუფში ჩაითრია, რომლის მიზანსაც შეადგენდა საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელთა და ლ. ბერიას წინააღმდეგ ტერაქტების მოწყობა. გამოძიების მასალებით დადგინდა, რომ რუსთაველის თეატრში არავითარი კონტრრევოლუციურ-ტერორისტული ჯგუფი არ არსებობდა და ამიტომ მათი დადანაშაულება ანტისაბჭოთა მოღვაწეობაში საფუძველს მოკლებული გახლდათ. რუსთაველის თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი, ს. ახმეტელის მეუღლე თამარ წულუკიძე, 5 დაკითხვით „ამხილეს“ დაუდგენელი უცხო ქვეყნის ჯაშუშ რადამსკისთან კავშირში. თურმე, იგი რუსთაველის თეატრის ტერორისტულ ჯგუფს, მოსკოვიდან დაშიფრული კოდით და პირობითი ნიშნებით უგზავნიდა მითითებებს მავნებლურ-კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის. გამოძიების მტკიცებით, თ. წულუკიძე უნდოდათ გამოეყენებინათ 1936 წელს მოსკოვში ქართული თეატრალური სტუდიის შექმნისთვის, რომლის საფარქვეშ თითქოსდა იგეგმებოდა ტერორისტული ჯგუფის შექმნა და ტერაქტების მოწყობა სტალინზე, ორჯონიკიძეზე, კაგანოვიჩსა და პოლიტბიუროს სხვა წევრებზე. საბრალდებო დასკვნაში თ. წულუკიძის ჩვენებები ბრალდებად არის გამოყენებული და აღნიშნულია: „თავს დამნაშავედ არ ცნობს ტერორისტულ საქმიანობაში, მაგრამ არ უარყოფს, რომ მასთან საუბრებში ახმეტელი გამოთქვამდა მკვეთრ კონტრრევოლუციურ მოსაზრებებს და უშვებდა მტრულ თავდასხმებს სკპ (ბ) ხელმძღვანელების წინააღმდეგ“. განაჩენშიც იგივე ბრალდებები განმეორდა და 10 წლით პატიმრობა მიესაჯა. ეს განაჩენი რეაბილიტაციის შედეგად გაუქმდა და თ. წულუკიძე უდანაშაულოდ ცნეს, თუმცა მან დიდი განსაცდელი გამოიარა.

თამარ წულუკიძის დაკითხვის ოქმები მრავალმხრივ არის საინტერესო. ჩანს გამომძიებლის დაინტერესება მისთვის სასარგებლო ინფორმაციის მისაღებად. ამავე დროს, თ. წულუკიძის რიგი პასუხები უარყოფასთან ერთად წარმოაჩენს თეატრში არსებულ ვითარებასა და ახმეტელის მომხრე მსახიობთა მიერ განხორციელებულ საპროტესტო ქმედებებს. გამოძიება მსახიობებს ანტისაბჭოთა დაჯგუფებად ნათლავს. ამ მოსაზრებას თ. წულუკიძე ეთანხმება და საუბრობს მსახიობთა მიერ მიღებულ საპროტესტო განწყობებზე, როგორც თეატრის შიგნით, ასევე პარტიისა და მთავრობის დადგენილებასთან ბრძოლაში. ამ ქმედებებს თეატრის ახალი ხელმძღვანელობის დისკრედიტაციაც უნდა მოჰყოლოდა. ის ასახელებს ჯგუფის წევრებსა და მიმოწერის ადრესატებს თბილისისა და მოსკოვის მისამართებზე, რითაც მათ პოტენციური დაპატიმრების წინაპირობას უქმნის. ზოგი გადარჩა, ზოგის რეპრესირებაც მოგვიანებით მოხდა სხვა საქმეებთან დაკავშირებით. თ. წულუკიძე საუბრობს ჯგუფის მოქმედების მოტივებსა და განხორციელების საშუალებებზე, რომ თეატრის ირგვლივ უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი შექმნილიყო. გამოძიების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ჯგუფის საქმიანობას 1935 წლის სექტემბრიდან 1936 წლის იანვრის ჩათვლით. ასევე, თბილისიდან მოსკოვში გამგზავრებამდე. რაც ნათლად მეტყველებს გამოძიების ტენდენციურ დაინტერესებაზე და ანტისაბჭოთა ჯგუფად მსახიობთა განზრახ წარმოსაჩენად მიმართულ ქმედებაზე. ამას თავისი ახსნა აქვს. სწორედ ამ პერიოდიდან უფრო მწვავდება ახმეტელსა და ბერიას შორის ურთიერთობა. ბერიას აცნობებენ, რომ ახმეტელი კრემლის ქართველებთან (ს. ორჯონიკიძე, ა. ენუქიძე) აპირებდა შესვლას. სწორედ ამ მიზნით დაიწყო ანტისაბჭოთა ჯგუფის შეთითხნა, რომელსაც ვითომდა ს. ახმეტელი ხელმძღვანელობდა. მათი დაჭერით ბერიამ არსებული საშიშროება უვნებელყო.

თამარ წულუკიძე განამტკიცებდა გამოძიების ბრალდებას ჯგუფის ანტისაბჭოთა მოსაზრებების შესახებ, რაც მათი რეპრესირების საფუძველიც შეიძლება გამხდარიყო. მაგალითად, ჯერ 11 თებერვლის დაკითხვაზე აღნიშნა: „ჩვენი ანტისაბჭოთა ჯგუფის მონაწილე ელგუჯა ლორთქიფანიძემ მთვრალმა წარმოთ-

ქვა (როგორც ყოველთვის) ნაციონალისტური სიტყვა „თავისუფალ“ სამშობლოზე და ა.შ.“, ხოლო 9 მაისის დაკითხვაზე დაამატა: „იყო შემთხვევა, როდესაც ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ხორავამ 1921 წელს ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა (ბოლშევიკთა წინააღმდეგ) სადღეგრძელო დალია. ვასაძემ ყველას თავი მოაბეზრა თავისი „თორმეტ მილიონიანი საქართველოთი“ და „თამარ მეფით“. ლორთქიფანიძეს უყვარდა „დაჩაგრულ სამშობლოზე“ ლაპარაკი“. აგრეთვე მოყვანილია ახმეტელის შეხედულებები ქართველების უპირატესობის შესახებ მეზობელ რესპუბლიკებთან მიმართებით, ჰიტლერის სიძლიერესა და გერმანიის საბრძოლო უპირატესობაზე საბჭოთა არმიასთან შედარებით, რაც ნაციონალისტური განწყობის ბრალდებას უწყობდა ხელს. თანაც, თ. წულუკიძე ასახელებს მსახიობთა კუთვნილებას საქართველოში გასაბჭოებამდე არსებული პარტიებისადმი, რაც მათ ბრალდებას ამძიმებდა. მაგალითად, დასახელებული ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი თავად ს. ახმეტელი იყო.

ბუჟუჟა შავიშვილს ბრალად წარუდგინეს ის გარემოება, რომ იგი და ივანე ლაღიძე ს. ახმეტელთან მოსკოვში ჩავიდნენ, რომ მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღეძრათ საქართველოს კულტურის სახლში ქართული დრამატული სტუდიის გახსნის თაობაზე. სამწუხაროდ, სამი თვის შემდეგ უარი მიიღეს. შემდგომში ეს ფაქტი 8 დაკითხვის შემდეგ, გამოძიებამ გამოიყენა კონტრრევოლუციური ჯგუფის არსებობის საბაბად. იგი აკ. ფაღავას მიერ დაარსებულ თეატრალურ სტუდიაში (შემდგომში თეატრალური ინსტიტუტი) სწავლის პერიოდიდან დაკავშირებული იყო რუსთაველის თეატრთან და მონაწილეობდა ს. ახმეტელის მიერ კორპორაცია „დურუჯის“ დაარსებაში. საინტერესოა, რომ გამოძიება დაჟინებით არ ითხოვდა ბ. შავიშვილისგან აღიარებას. მან უარყო ანტისაბჭოთა საქმიანობა, რის შემდეგაც გამოძიება დაინტერესდა ს. ახმეტელის „რიტმის თეორიით“, რის შესახებაც თავად რეჟისორს არაერთხელ უთქვამს საჯარო გამოსვლებში და დაუწერია პრესაში. და ბ. შავიშვილმაც განმარტა - საუბარი იყო იმაზე, რომ ყოველ ერს თავისი დამახასიათებელი რიტმი ჰქონდა, რომ კავკასიელ ხალხებში იყო რაღაც საერთო, რომ მათგან ქართული რიტმი თავისებურებით და განსაკუთრებულობით გამოირჩეოდა. გამოძიებამ საბოლოოდ ბრალი ნაწილობრივ აღიარებასა და ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრობისთვის წარუდგინა.

რუსთაველის თეატრის მოკარნახე ნინო ღვინიაშვილის შესახებ ანტისაბჭოთა მასალები პოლიტ-სამმართველოში ჯერ კიდევ 20-იანი წლებიდან არსებობდა. იგი პირველად 1922 წელს დააპატიმრეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმთან კავშირის გამო, მაგრამ რამდენიმე თვეში გაათავისუფლეს. დაკითხვებიდან ჩანს ნ. ღვინიაშვილის წინააღმდეგობრივი ჩვენებები. იგი ხან კატეგორიულად უარყოფს, ხანაც აღიარებს გამოძიების მიერ წარდგენილ ფაქტებს, რაც, ფსიქოლოგიურის გარდა, ფიზიკურ ზემოქმედებაზე მეტყველებს. კერძოდ, ს. ახმეტელთან მიმოწერას, ანტისაბჭოთა ჯგუფის არსებობას, რაც გამოწვეული იყო ს. ახმეტელისადმი ნდობით, ვინაიდან თავად ს. ახმეტელიც 20-იან წლებში დროებით დაპატიმრებული იყო ანტისაბჭოთა მოღვაწეობისა და რუსთაველის თეატრში მუშაობის გამო. ნ. ღვინიაშვილი თავის განწყობას არ მალავს და ამბობს, რომ მისი ნაციონალისტური განწყობა განპირობებული იყო იმით, რომ იგი საქართველოს გასაბჭოებას დამღუპველად მიიჩნევდა, რომ რუსულ კულტურას არ უნდა აყენებდნენ ქართულ კულტურაზე მაღლა, რომ აიკრძალა კერძო საკუთრება, დაწესდა ინტერნაციონალური ჰიმნი. იგი მონაწილეობდა 1923 წლის დემონსტრაციაში ქ. ჩოლოყაშვილის მხარდასაჭერად. ამ მხრივ, მისი და ს. ახმეტელის ეროვნული შეხედულებები ერთმანეთს ემთხვეოდა. გამოძიებამაც „დაადგინა“ მისი იმჟამინდელი ნაწილობრივი ანტისაბჭოთა საქმიანობა და ნაციონალისტურ ორგანიზაციაში მონაწილეობა.

სსრკ სამხედრო კოლეგიის უმაღლესი სასამართლოს გამსვლელი სესიის დახურულმა სხდომამ ი. მატულევიჩის (თავმჯდომარე), ა. ორლოვის, ს. ჟდანის შემადგენლობით, 1937 წლის 28 ივნისის განაჩენით, ბ. შავიშვილს (იგი გადასახლებაში 1939 წ. გარდაიცვალა), ნ. ღვინიაშვილსა და თ. წულუკიძეს 10-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

თავისი აბსურდულობით საინტერესოა „სახელგამის“ დირექტორის მოადგილის, ლიდა გასვიანის ჩვენებები, რომელიც 1937 წლის 23 და 27 მაისს დაკითხეს. თურმე, ს. ახმეტელი 1934 წლის ბოლოდან საქართველოს ტროცკისტულ-ტერორისტული ცენტრის დავალებით მას გადმოუბირებია. არადა, ახმეტელის საქმეში მისი „ანტისაბჭოურობა“ 1932 წლიდან ფი-

გურირებს. ამიტომაც, ასეთი ფაქტობრივი უზუსტობა საქმის ფალსიფიკაციას ადასტურებს. ლ. გასვიანს ახმეტელის დამუშავება პოლიტიკური საუბრებით დაუწყია, რომლებიც მიმდინარეობდა რეჟისორის კაბინეტსა და ფუნიკულიორზე გასეირნებისას. ძირითადი თემა - საქართველოს დამოუკიდებლობა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მმართველობის შემოღება ყოფილა. ს. ახმეტელის მოსკოვში გადასვლისას კი ლ. გასვიანს იგი დაურიგებია, რომ პარტიული ხელმძღვანელობის წინაშე ავტორიტეტი უნდა აღედგინა, რაც მომავალი მუშაობისთვის გამოადგებოდა.

„ახმეტელის საქმეში“ არ გადიოდა მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ხათუნა ჭიჭინაძე, მაგრამ მისი „დანაშაული“ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისრის, გიორგი ყურულაშვილის ცოლობაში გამოიხატებოდა, რომელიც მოსკოვში ქართული კონტრრევოლუციური ცენტრის მეთაურობაში „ამხილეს“. ხ. ჭიჭინაძე 1937 წლის 2 ივლისს დააპატიმრეს, მაგრამ მხოლოდ 1-ელ და 28 დეკემბერს დაჰკითხეს. ამის მიზეზი გამომძიებელ კრიმიანალის პირველივე კითხვიდან ჩანს, რომ ხანგრძლივი და შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, ბოლოს და ბოლოს ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრობა უღიარებია. დავალებული ჰქონია თეატრში სპექტაკლის სანახავად მისვლისას ლ. ბერიას მოკვლა. ამიტომაც, გ. ყურულაშვილმა მას სხვა მსახიობების ჩაბმა დაავალა, ვინაიდან მათ ფართო წრეს კარგად იცნობდა. თურმე, ხ. ჭიჭინაძეს პირადად ჩაუბამს სესილია თაყაიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, თამარ ჭავჭავაძე, აკაკი კვანტალიანი, მიხეილ ჭიაურელი. საქმეში სულ 2 დაკითხვის ოქმია, რომლის აბსურდული ბრალდებების საფუძველზე, რომ იყო გიორგი ყურულაშვილის მეუღლე და ამზადებდა ტერორისტულ აქტს ლ. ბერიას წინააღმდეგ, ხ. ჭიჭინაძეს 1938 წლის 3 მარტს „სამეულმა“ დახვრეტის განაჩენი გამოუტანა.

1937 წლის 12 დეკემბერს, მშობლების დაპატიმრების შემდეგ, სამშობლოს მოღალატეთა ოჯახის წევრობის ბრალდებით დააპატიმრეს, თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი, შემდგომში ცნობილი თეატრმცოდნე და ს. ახმეტელის შემოქმედებითი რეაბილიტაციის მოთავე, ნინო შვანგირაძე. მას 28 დეკემბრის დაკითხვის შემდეგ, 1938 წლის 28 ივნისს განსაკუთრებულმა სათათბირომ 5 წლით გადასახლება მიუსაჯა, თუმცა ომის დამთავრებამდე საქართველოში ვერ დაბრუნდა.

1945 წელს, ყაზახეთიდან დაბრუნების შემდეგ, უნივერსიტეტი დაამთავრა და მუშაობა დაიწყო თეატრალურ ინსტიტუტში. სამწუხაროდ, მისმა ყოფილმა სტუდენტმა, პარტორგანიზაციის წევრმა ევგენია პოპოვამ (შემდგომში ქართლელმა), რომელიც ნაწყენი დარჩა სასურველი ნიშნის მიუღებლობით, თავის ლექტორს დევნა დაუწყო - სტუდენტებს გადანასახლები ლექტორი ასწავლისო და რექტორმა მიხეილ კვესელავამ ახალგაზრდა პედაგოგს საკუთარი განცხადებით წასვლა ურჩია. ე. პოპოვას ინტრიგულ მძაფრ კრიტიკას ვერ გადაურჩა რეპრესირებული მშობლების შვილი, ცნობილი თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძე, თუმცა, იგი ინსტიტუტში მაინც დატოვეს.

საზოგადოებას დააინტერესებს იმ „სამეულის“ შემადგენლობა, რომელმაც სრულიად უსაფუძვლოდ სიცოცხლეს გამოასალმა, ან გადაასახლა ცნობილი თეატრალური მოღვაწენი. ესენია: რაფავა, ტალახაძე და წერეთელი. საქმეები კი შეთითხნეს გამომძიებლებმა: უმცროსმა ლეიტენანტებმა, კრიმიანმა და სუმიაკინმა, უფროსმა ლეიტენანტმა ოსიპოვმა, მაიორმა მხეიძემ, ოპერრწმუნებულმა შჩეკოტიხინმა, მაიორმა ქობულოვმა.

ამ ჯალათთა გვარები მომავალმა თაობებმა არ უნდა დაივიწყონ, მათ ხომ მეტწილად საბედისწერო განაჩენი ახალგაზრდა შემოქმედებს გამოუტანეს, რომლებსაც კიდევ მრავალი წელი უნდა ეღვაწათ ქართული კულტურის საკეთილდღეოდ.

გამოყენებული ლიტერატურა:

- კიკნაძე ვ., წამებული რაინდები, თბ., 1992.
- მეგრელიძე გ., ზვარაკად შეწირულნი, ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“, #6, 2009, გვ. 49-53.
- მეგრელიძე გ., ლავრენტი ბერია და რუსთაველის თეატრი, ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, #1, 1990, გვ. 126-151.

REPRESSED FEMALE ARTISTS IN GEORGIAN THEATER

Gubaz Megrelidze

The inhumane period of repressions in the 1930s claimed the lives of many innocent artists, including those implicated in the so-called Sandro Akhmeteli Case, a group of actors from Rustaveli Theater and other artists. Their persecutions began following the September 13, 1935 Resolution on Rustaveli Theater by the Board of the Art Commission and the Central Committee of the Communist Party of Georgia (B). The newly appointed director of Rustaveli Theater, Er. Gordeladze, received the following orders: "Since meritorious actress Tamar Tsulukidze is absent from rehearsals and her actions disorganize the theater staff, the Special Case Commission (Gansaxkom) is requested to confirm her dismissal from the theater" (Order №70. 1935. 20. 09), "pursuant to the Special Case Commission's order, meritorious actress Tamar Tsulukidze should be dismissed from the theater "(Order No. 76. 1935, 2.10). "According to the Board of the Art Commission and the Communist Party of Georgia (b), actor Shavishvili Bezhuzha should be dismissed from the theater on October 21" (order №. 88. 1935, October 27.10), "For instigating disorganization in the theater and attempts to form groups disruptive to the creative and organizational activities of the theater, shall be dismissed from the theater on December 1. Literary section's director Ia Kantaria, and actors: Vladimir Adamidze, Tina Gviniashvili, Vladimir Gviniashvili, Alexader Kazaishvili and prompter Nino Gviniashvili. Director Er. Gordeladze categorically and finally warned everyone: "I warn everyone that in case of a slight disorganization in internal work or violation of discipline in the theater, everyone will be held accountable, including dismissal" (Order №99. 1935. 26. 11).

The issue of reprisals against actors was resolved based on the results of the report of the Political Division dated September 20, 1936. It mentions that S. Akhmeteli does not consider his dismissal final and intends to appeal to Moscow and take all measures to send the letter to Stalin, which is considered a step against Beria. S. Akhmeteli is also said to rely on Georgian Bolsheviks in Moscow (I. Stalin, S. Ordzhonikidze, A. Yenukidze-G.M.), who are hostile toward Beria after being criticized by him in his report at a party meeting. They can put a word with Stalin on behalf of the "victim." In addition, the Political Division found out that a group of actors had sent a complaint to Moscow against Beria, in Akhmeteli's defense, a fact confirmed by director Sh. Aghsabadze. During 1955interrogations, actor Sarchimelidze told him that on New Year's Eve in 1936 in P. Korishel's apartment, subsequent detainees signed a letter to Stalin, reading that Beria was against Akhmeteli, who was unjustly kicked out of the theater. Notably, these facts became the reason for the arrest of Akhmeteli's supporters, since the repressed turned out to be only the people who signed of the letter.

After 1936, a series of arrest of Akhmeteli's accomplices begun: on November 21, actor B. Shavishvili, prompter N. Gviniashvili; on January 28, 1937 S. Akhmeteli's wife T. Tsulukidze.

Their "crime" was that they were S. Akhmeteli's staunch defenders until his dismissal from the theater, and continued correspondence even after he went to Moscow. Therefore, they were accused of being members of a counter-revolutionary group attempting to disrupt creative activities in the theater, causing disorganization. They also disagreed with the decisions of the party and government on Rustaveli Theater, which was followed the dismissal of S. Akhmeteli.

The 1955 Rehabilitation Report states that Akhmeteli's case was falsified on Beria's order, an enemy of the people, and that investigators used illegal methods and coercion during in interrogation. It also reads that, since 1935, S. Akhmeteli engaged them in a Trotskyist-Zinovievite counterrevolutionary terrorist group plotting terrorist attacks against the leaders of the Soviet gov-

ernment and L. Beria. According to the materials of the investigation, there was no counter-revolutionary-terrorist group in Rustaveli Theater and therefore their accusation of anti-Soviet activities was unreasonable. One of the leading actors of the Rustaveli Theater and S. Akhmeteli's wife, Tamar Tsulukidze, was "confronted" by 5 interrogations as having connection with an unidentified foreign spy Radamsky. He was sending instructions from Moscow to the terrorist group within Rustaveli Theater with an encrypted code and conventional symbols for harmful counter-revolutionary activities. According to the investigation, they intended to use T. Tsulukidze to create a Georgian theater studio in Moscow in 1936, under the cover of which they planned to form a terrorist group and carry out acts of terrorism against Stalin, Ordzhonikidze, Kaganovich and other members of the Politburo. In the verdict of T. Tsulukidze's testimony was used as an accusation, which stated: "She pleaded not guilty in terrorist activities, but does not deny that in conversations with her, Akhmeteli expressed sharp counter-revolutionary views and launched hostile attacks on the leaders of the Soviet Community Party (SCP) (B)." The same charges were repeated in the verdict, and she was sentenced to 10 years in prison. This sentence was abolished after rehabilitation, and T. Tsulukidze was acquitted, but she went through difficult trials.

The interrogation records of Tamar Tsulukidze are interesting in many ways. This indicates the interest of the investigator in obtaining useful information. Along with denying a number of answers by T. Tsulukidze, it presents the situation in the theater and the protests carried out by the actors supporting Akhmeteli. The investigation emphasizes the actors as anti-Soviet groups. T. Tsulukidze agrees with this opinion and speaks about a sense of protest among actors both inside the theater and in the struggle against the decisions of the party and government. These actions were supposed to be followed by discrediting the new director of the theater. She names the members of the group and recipients of correspondence to addresses in Tbilisi and Moscow, thus preconditioning their possible arrests. Some survived, while others were lately repressed in connection with other incidents. T. Tsulukidze talks about the motives of the group and the ways of their implementation in order to create negative public opinion around the theater. The investigation paid special attention to the activities of the group from September 1935 to January 1936, also before flying to Moscow from Tbilisi. This clearly shows the tendentious interest of the investigation and its presentation as an anti-Soviet group. And for a reason. Obviously, the relations between Akhmeteli and Beria started to escalate. Beria was informed that Akhmeteli's possible meeting the Kremlin Georgians (I. Stalin, S. Ordzhonikidze, A. Yenukidze). So, he begun to fabricate an anti-Soviet group with S. Akhmeteli as its leader. By arresting them, Beria avoided a threat looming over him.

T. Tsulukidze confirmed the investigators' accusations of the anti-Soviet views of the group, which could become the basis for their repression. For example, during an interrogation on February 11, she said: "Elguja Lortkipanidze, a member of our anti-Soviet group, while drunk (as always) uttered nationalist words about "free" homeland, etc." During an interrogation on May 9, she added: "There was a case when a drunken Khorava raised a toast to the soldiers who died in the battle (against the Bolsheviks) in 1921. Vasadze bored everyone with his 'Twelve Million Georgia' and 'Queen Tamar.' Lortkipanidze liked to 'talk' about the 'Depressed Motherland.'" Records also cite Akhmeteli's views on Georgians' superiority over neighboring republics, the power of Hitler and the military superiority of Germany in comparison with the Soviet army, which further fueled the nationalist attitude. Moreover, T. Tsulukidze points out the actors' affiliation with parties in pre-Soviet Georgia, which aggravates their culpability. For example, one of the named leaders of the National Democratic Party was S. Akhmeteli.

Bezhuzha Shavishvili was accused of visiting Akhmeteli together with Ivane Lagidze in Moscow in order to intercede with the government to open a Georgian drama studio at the House of Culture of Georgia. After 3 months of waiting, their request was denied. After that, 8 interrogations sessions later, the investigation used the case above as a pretext to claim that there had been a counter-revolutionary group. Shavishvili was in touch with Rustaveli Theater since his studies at the theater studio founded by Akaki Pagava (later the Theater Institute), and participated in the establishment of the corporation Duruji by S. Akhmeteli. Interestingly, the investigators did not try to draw out a confession from B. Shavishvili. He denied involvement in anti-Soviet activities, after which the investigation took an interest in

S. Akhmeteli's Theory of Rhythm repeatedly spoken and written in the press by the director himself. B. Shavishvili also explained that it was about each nation having its own characteristic rhythm, the Caucasian peoples having something in common, and Georgian rhythms being idiosyncratic and special. As a result, the investigation accused him of partially admitting his guilt and membership in an anti-Soviet organization.

Anti-Soviet materials about Nina Gviniashvili, a Rustaveli Theater prompter, existed in the Political Division as early as the 1920s. She was arrested in 1922 for her connection with the Kakutsa Cholokashvili squad, but was released a few months later. Apparently, N. Gviniashvili made contradictory depositions. Sometimes she categorically denies, sometimes even admits facts presented by the investigation, an indication of psychological and physical pressure. In particular, Gviniashvili would not hold back her correspondence with S.Akhmeteli, the existence of an anti-Soviet group building on trust for S. Akhmeteli, since S. Akhmeteli himself was also temporarily imprisoned in the 1920s for anti-Soviet activities and due to his work the Rustaveli Theater. According to Gviniashvili, her nationalistic attitudes were based on her belief that the Sovietization of Georgia was a disaster, Russian culture could not be placed above Georgian, private property should not have been prohibited, and that an international hymn should not have been accepted. She participated in the 1923 demonstration supporting K. Cholokashvili. In this regard, she and S. Akhmeteli's shared patriotic sentiments. The investigation also "discovered" her current partial anti-Soviet activities and participation in a nationalist organization.

On June 28, 1937, a closed session of the Military Collegium of the Supreme Court of the USSR, with participation from I. Matulevich (chairman), A. Orlov, S. Zhdani, sentenced N. Gviniashvili and T. Tsulukidze to 10 years in jail.

A testimony of the deputy director of "Sakhelgami" Lida Gasviani, interrogated on May 23 and 27, 1937, is amazingly absurd. He claimed to have recruited S.Akhmeteli in late 1934, acting on orders from the Trotskyite-terrorist center of Georgia. However, the case against Akhmeteli claims his "anti-Soviet" involvement since 1932. This factual inaccuracy confirms the falsification of the case. L. Gasviani started recruiting S. Akhmeteli with political conversations that took place during a walk on the funicular and in the director's office. The main topic was the independence of Georgia and the introduction of bourgeois-democratic governance. As S. Akhmeteli was moving to Moscow, L. Gasviani instructed him to get into the party leadership's good graces, which would be useful for future work.

Khatuna Chichinadze, a Marjanishvili Theater actress, was not involved in Akhmeteli's case, but her "crime" was being the wife of the local industry people's commissar Giorgi Kurulashvili, who was "exposed" under the leadership of the Georgian Counter-Revolutionary Center in Moscow. Kh. Chichinadze was arrested on July 2, 1937, but interrogated only on December 1 and 28. The reason becomes evident from the very first question by investigator Krimian. Apparently, despite long and stubborn resistance, Chichinadze finally admitted to membership in an anti-Soviet organization and to being ordered to assassinate Beria during a performance in the theater. Consequently, G. Kurulashvili instructed her to recruit other actors, whom she knew very well. Allegedly, Kh. Chichinadze personally recruited Takaishvili, Veriko Anjaparidze, Tamar Chavchavadze, Akaki Kvantaliani, Mikhail Chiaureli. There are 2 interrogation protocols in this case, based on absurd accusations of her being the wife of Giorgi Kurulashvili and preparing a terrorist attack against L. Beria. On March 3, 1938, Chichinadze was sentenced to death by a troika.

On December 12, 1937, after the arrest of her parents, Nino Shvangiradze—a philology student at the Tbilisi University, later a well-known theater specialist, and leader of the department of creative rehabilitation of S. Akhmeteli—was arrested on charges of belonging to a family of traitors. After an interrogation on December 28, she was sentenced by a special council to five years of exile on June 28, 1938, but could not return to Georgia until the end of the war.

In 1945, after returning from Kazakhstan, she graduated from the university and began working at the Theater Institute. Unfortunately, her former student Yevgenia Popova (later from Kartlian), a member of the party organization, who was unhappy with her poor grades, started to persecute her teacher, arguing that a previously exiled teacher was not fit to deliver lectures. Consequently, the rector Mikhail Kveselava adviced the young teacher to quit. Famous theater expert Natela Urushadze, daughter of repressed parents, was also targeted by intrigues and

harsh criticism from E. Popova, though she was allowed to stay at the institute.

It may be useful to know the names of the members of the troika that sentenced to death or exiled numerous prominent theatrical figures. These were: Rafava, Talakhadze, and Tsereteli. Cases were fabricated by investigators: junior lieutenants Krimian and Sumyakin, senior lieutenants Osipov, major Mkheidze, mandated operator Shchekotikhin, major Kobulov.

The names of these butchers cannot be forgotten by future generations, because in many respects they made a fatal verdict for young creators who should have worked for the benefit of Georgian culture for many years.

REFERENCES:

1. Kiknadze, V. Tortured Knights. Tb. 1992.
2. Megrelidze G., Lavrenty Beria and Rustaveli Theater, Soviet art, №1, 1990, p. 126-151.
3. Megrelidze G., Sacrifices to Victims, Literature and Art, no. 6, 2009, p. 49-53.